# საქართველოს პარლამენტის ბიუროს განკარგულება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

№ 97/15

10 სექტემბერი, 2013 წელი

**საქართველოს კანონის პროექტი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" (07-3/212; 05.09.2013)**

*(ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)*

*დასახელება*

საქ. პარლამენტის წევრი შ. შავგულიძე

*ინიციატორი*

საქ. პარლამენტის წევრი შ. შავგულიძე

*ავტორი*

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

*წამყვანი კომიტეტი*

05. 09. 2013.

*შემოსვლის თარიღი*

წამყვან კომიტეტზე - 10.09 - 20.09

*საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი*

18.09 – 20.09

*პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი*

*კომიტეტები, რომელთა დასკვნა სავალდებულოა*

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე

ზურაბ აბაშიძე

საქართველოს პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს
# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№97/54

2013 წელი, 10 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.საქართველოს პარლამენტის წევრის შალვა შავგულიძის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის შალვა შავგულიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" (07-3/212; 05.09.2013) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3.საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 9 სექტემბრის №97/15 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — ზურაბ აბაშიძე